პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 16 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

(933) 235 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქ. ელბმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ. სტრ

## თათბირი წითელ არმიელთა პრესის შესახებ.

ამ ჟამად ქ. მოსკოვში მიმდინარეობს წითელარმიელთა ბეჭდითი სიტყვის მუშაკების საკავშირო თათბირი, რომლის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1) წითელარმიელთა პრესის მომავალი ამოცანები, 2) სამხედროს პოლიტიკური აღზრდა და მისი მომზადება, 3) კედლის გაზეთების დაყენება წითელარმიაში, 4) წითელარმიელთა პრესა და სამხედრო მუშაობა ტერიტორიალურ ნაწილებში, 5) ეროვნული პრესა წითელარმიაში და 6) სარედაქციო—საგამომცემლო მუშაობის ორგანიზაციული კითხვები.

ამ თათბირის მთავარი მიზანია ჯამი გაუკეთოს ამ ერთი წლინახევრის განმავლობაში გატარებულ მუშაობას ბეჭდითი სიტყვის დარგში და გამოიმუშაოს მომავალი მუშაობის ამოცანები.

წითელი არმიის დღითი დღე განმტკიცებასა და აქ წარმოებულ სამხედრო-პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის წინსვლასთან ერთად, დღეს ჩვენს წინაშე დასმულია კითხვები წითელარმიელთა ბეჭდითი სიტყვის—პრესის სათანადო სიმაღლეზე დაყენების შესახებ.

სამხედროთა მოძრაობის საორგანიზაციო ფორმები ჯერ კიდევ არ არის კარგად ჩამოყალიბებული წითელი არმიის, როგორც ძირითად, ისე ნამეტურ ტერიტორიალურ ნაწილებში.

თუ კერძოდ ავიღებთ ქართული დივიზიების ნაწილებში კედლის გაზეთებისა და სამხედროთა მუშაობას, დავინახავთ, რომ ამ დარგში ძლიერ ბევრი მიღწევები გვაქვს. მხოლოდ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუშაობაში ბევრი შეცდომებიც იყო წარსულში და არის დღესაც.

ამ შეცდომების მიზეზი არის კედლის გაზეთების მუშაობის და განსაკუთრებით სამხედროთა მოძრაობის სინორჩე. ამ დარგის მუშაობის ჩამოყალიბების ვითარებაში შეცდომები პირველად ბევრი იქნებოდა, მხოლოდ სამწუხარო ისაა, რომ ამ შეცდომებს დღესაც არ ექცევა სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

ამასთანავე ერთად არ არის სათანადო ყურადღება მიქცეული სამხედროთა პოლიტიკურად აღზრდასა და მომზადებაზე. ჩვენს ნაწილებში სამხედროთა რიცხვის ზრდასთან და ქსელის გაფართოებასთან ერთად დღის წესრიგში სდგას სწორედ ეს კითხვები; სამხედროთა მომზადება და აღზრდა და მათი ამ დარგის ლიტერატურით უზრუნველყოფა.

გარდა ამისა დღეს წითელი არმია გადასულია ტერიტორიალურ აღმშენებლობაზე. ამ დარგის მუშაობის ჩატარების დროს დიდი მნიშვნელობა ეძლევა წითელარმიელთა პრესას: სამხედროთა მუშაობას, კედლის გაზეთებს, სარედაქციო—გამომცემლობას და სხ.

სწორედ ამ კითხვების გარშემო ზემოხსენებული თათბირი გამოიტანს სათანადო დადგენილებებს, რომლის გატარება ცხოვრებაში გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნას მიჩნეული.

## განსაკუთრებული სამხედრო გადასახადი ზურგის ლაშქარში ჩარიცხულებზე.

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა წარუდგინა სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად კანონპროექტი, რომელშიაც გათვალისწინებულია ზურგის ლაშქარში ჩარიცხულ მოქალაქეთა დაბეგვრა განსაკუთრებული სამხედრო გადასახადით. ეს გადასახადები ხდება მათ ზურგის ლაშქარში ყოფნის განმავლობაში მშვიდობიან დროს. კანონპროექტი აწესებს, რომ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ეხებათ საშემოსავლო გადასახადი და განსაკუთრებული სამხედრო გადასახადი, უკანასკნელი გადახდება საშემოსავლო გადასახადთან ერთად ნახევარ საგადასახადო წლის განმავლობაში. მოქალაქეებს, რომლებსაც ეხებათ სასოფლო სამეურნეო გადასახადი და განსაკუთრებული სამხედრო გადასახადი, უკანასკნელი გადახდებათ ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან ერთად.

რაც შეეხება მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო, მაგრამ არ ეხება არც საშემოსავლო, არც სასოფლო-სამეურნეო გადასახადი,—სამხედრო გადასახადი გადახდება მათ მათი ზურგის ლაშქარში ყოფნის პირველ ორი წლის განმავლობაში; ეს გადასახადი უნუდრიდეს მოცემულ ადგილზე საშემოსავლო გადასახადის ნახევარი წლის ძირითადი ტარიფის მინიმუმს (უმცირესს) „მ" კატეგორიის მიხედვით; ხოლო თვითეული ნახევარ საგადასახადო წელში მათი ზურგის ლაშქარში ყოფნის მთელი წლების განმავლობაში—იხდიან ნახევარს.

იმ მოქალაქეთა მაგივრად, რომელთაც არ აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი, სამხედრო გადასახადს იხდიან მათი მშობლები ან პირები, რომელთა მზრუნველობის ქვეშაც ეს მოქალაქეები იმყოფებიან.

დასასრულ კანონპროექტი აწესებს, რომ განსაკუთრებულ სამხედრო გადასახადის ძემოსავალი მიდის სოციალურ უზრუნველყოფის ფონდში, რომელიც (შემოსავალი) მოხმარდება მხოლოდ სამოქალაქო ომის ინვალიდებს (სახიჩრებს).

განიხილა რა კანონპროექტი საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა ის და გადაგზავნა კანონი საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმში დასამტკიცებლად.

ამასთან ერთად სახალხო კომისართა საბჭომ მიანდო ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს შეიტანონ პროექტში (გეგმაში) დამატებითი დადგენილება, რათა გადასახადების გადახდა გავრცელდეს იმ პირებზედაც, რომლებიც იმყოფებიან მომსახურე გუნდებში დაწყებული 1923 წლის გაწვევიდან.

# ახალი რადიო-ამბები

## ლოკარნოს კონფერენციის გარშემო.

### გერმანიის დელეგაცია ახალ დათმობაზე მიდის.

ლოკარნოდან (ქალაქი შვეიცარიაში, სადაც სწარმოებს ამ ჟამად საუზრუნველყოფო კონფერენცია) ბერლინში ჩავიდა გერმანიის დელეგაციის წევრი კემპნერი, რომელმაც გააკეთა მოხსენება კონფერენციის მსვლელობის შესახებ.

მთავრობას არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანია კემპნერის მოხსენების გარშემო.

კემპნერის ბერლინში ჩასვლის მიზანია დაითანხმოს გერმანიის პრეზიდენტი და მთავრობა ახალ შესაძლებელ დათმობაზე, რაიც გამოწვეულია კონფერენციაზე ახალ დაბრკოლებათა გამოჩენის გამო.

14 ოქტომბერს, კემპნერი მიიღო ჰინდენბურგმა, რომელსაც პირველმა გაუკეთა თავისი მოხსენება.

მოხსენების შინაარსი და მის გარშემო გამართული კამათი საიდუმლოდ ინახება.

## რას მოითხოვს გერმანია კონფერენციაზე.

როგორც ირკვევა, გერმანიის დელეგაციას დავალებული აქვს დაჟინებით დასვან ლოკარნოს კონფერენციაზე შემდეგი მოთხოვნილებანი: რეინის ოლქის დაცლის ვადის შემოკლება; რეჟიმის შეცვლა საარის მხარეში; განიარაღების საკითხის მოგვარება; კელნის ზონის დაცლა და სხვა.

## რაკოშის მდგომარეობა ჩამაფიქრებელია.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობით რაკოშის მდგომარეობა მეტად ჩამაფიქრებელია. (რაკოში არის უნგრეთის გამოჩენილი კომუნისტი. ის ამ ჟამად პასუხისგებაშია მიცემული, ვითომდა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულობის მოწყობისათვის) ბ ართმდებლებს განზრახული აქვთ რაკოშის ბრალდებულებ საქმე სასამართლოს მცირე ჯგუფებად.

მთავრობის პარტიის ჯგუფები მოითხოვენ სასტიკ განაჩენს, რათა „მაგალითი" უჩვენონ მემარცხენე მუშებს.

## ავსტრიის მეღვინეთა გაფიცვები.

ავსტრიაში გაფიცულია მეღვინეთა კავშირის მუშები დამქირავებელთა საზოგადოებამ მათ აღუთქვა ხელფასის მომატება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ წარმოების საქმე გაუმჯობესდება. მთავრობა განაგრძობს მუშებისა და დამქირავებელთა საზოგადოების მორიგების ცდებს.

ავსტრიის მეღვინეთა კავშირის თანამდებობის პირთა კონფერენციამ თანაგრძნობა გამოუცხადა გაფიცულებს და მიმართა ყველა მუშებს მოწოდებით ზნეობრივი და ქონებრივი დახმარებისთვის.

## უნგრეთის მთავრობის პარტიაში გამწვავებული მდგომარეობა.

უკანასკნელ დროს უნგრეთის პოლიტიკურ წრეებში გახშირდა ხმები, რომ უნგრეთის მთავრობის თავმჯდომარე ბეტლენს განზრახული აქვს გადადგომა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

მთავრობის წრეები ამას უარყოფენ, მაგრამ ეს კი, რომ მთავრობის პარტიაში შუღლი მეტად გამწვავდა.

## ცილისწამება ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიაზე.

შერეულმა პრესამ (ჟურნალ-გაზეთებმა) და ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიიდან გამორიცხულმა ბუბნიკის ჯგუფმა დაიწყეს კომპარტიაზე წასისება წერილის გამოქვეყნებით, რომ კომპარტიის წევრებს გაეგზავნათ კომინტერნის მიერ გამოგზავნილი ფულები. კომპარტიის გაზეთი „რუდე პრავო" აბათილებს წერილში მოყვანილ ცნობის სინამდვილეს და უწოდებს წერილს უხეშ ყალბ საბუთს.

## აღვირახსნილი ფაშისტები.

ფლორენციაში და რომში (იტალიის ქალაქები) მომხდარ უკანასკნელ შემთხვევებთან დაკავშირებით, რომელშიაც პასუხისმგებლობა ეკისრება ფაშისტურ უკიდურეს პირებს, მუსოლინის განკარგულებით ფაშისტების პარტიამ მიიღო საგულდაგულო ზომები გათავხედებულ ფაშისტურ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ნაწილობრ უკვე დაშლილ იქნა და ნაწილობრ დაშლილ იქნება. დამნაშავეები დაპატიმრებული არიან და გადაეცემიან სასამართლოს.

პარტიის მიერ მიღებული ღონისძიებანი განუხრელად ტარდება ცხოვრებაში.

## კანადის ფერმერები უერთდებიან გლეხთა ინტერნაციონალს.

კანადის ფერმერთა კავშირის მთავარმა მდივანმა ტრაშერმა, ჩვენს ტელეგრაფის სააგენტოს კორესპონდენტს აცნობა, რომ კავშირის ერთმა ადგილობრივ განყოფილებამ მიი-

ლო რეზოლიუცია გლეხთა ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ.

ამასთან ტრაშერი აღნიშნავს ფერმერთა კავშირის ინტერესს სასოფლო მეურნეობისა, საერთაშორისო მოღვაწეობისა და გლეხთა საკითხის გადაჭრისადმი საბჭოთა კავშირში.

## ცენტროკავშირის თავმჯდომარე ხინჩუკი ინგლისში.

ცენტრო-კავშირის თავმჯდომარემ ხინჩუკმა განუცხადა რეიტერის სააგენტოს, რომ ის ჩავიდა ინგლისში ცენტრო-კავშირის ლონდონის განყოფილების მუშაობის გამოსარკვევად.

„ჩვენს სავაჭრო კავშირს ინგლისთან—განაცხადა ხინჩუკმა—ჩვენ ვსთვლით მეტად მტკიცედ და ვერ ვხედავთ რაიმე სიძნელეს—ჩვენი სავაჭრო გეგმის განხორციელების გზაზე ინგლისში“.

## მიწის ძვრა ფილიპინის კუნძულებზე.

სამეცნიერო აკადემიის სეისმიურმა სადგურმა (მიწის ძვრის შემტყობი სადგური) აღნიშნა 13 ოქტომბერს ძლიერი მიწის ძვრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 8.080 კილომეტრზე ლენინგრადიდან.

მიწის ძვრა მოხდა ფილიპინის კუნძულებზე (ავსტრალიასა და აზიას შორის).

მიწის ძვრის ჩაწერა გაგრძელდა 2 საათით.

# საბჭოთა კავშირში

## გაფრენა „ნოვაია ზემლიაზე“ (ახალი მიწა).

არხანგელსკიდან პეტროზავოდსკში მოფრინდა ჰაეროპლანით მფრინავი კალვიცა. კალვიცამ შეასრულა „ნოვაია ზემლია“-ზე (ახალი მიწა) გაფრენა.

ცუდი ამინდის გამო კალვიცი იძულებული შეიქნა დაშვებულიყო კონდოსტროის რაიონში, პეტროზავოდსკიდან ჩრდილოეთით. მფრინავი ჩუხნოვსკი, მოტორის დაზიანების გამო, დარჩა არხანგელსკში.

## ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში სემაშკოს თავმჯდომარეობით მოხდა საუწყებათაშორისო თათბირი ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საკითხებში.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მეთოთხმეტე ყრილობა.

რკპ-ს ცეკას პლენუმმა დანიშნა რკპ-ს მორიგი მეთოთხმეტე ყრილობა 15 დეკემბრისთვის მოსკოვში.

ყრილობის დღის წესრიგი:

1. ცეკას პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში,
2. ცენტრალურ საკონტროლო და ცენტრალურ სარევიზიო კომისიის ანგარიში,
3. რკპ-ს წარმომადგენლობის ანგარიში კომინტერნის აღმასკომში,
4. სამეურნეო აღმშენებლობის მორიგი საკითხები,
5. პროფკავშირთა ამოცანების შესახებ,
6. კომკავშირის მუშაობის შესახებ,
7. ცვლილებათა შესახებ პარტიულ წესდებაში,
8. პარტიის ცენტრალურ ორგანოების არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა ყრილობაზე ძველივე რჩება: ერთი კაცი პარტიის ათას წევრზე.

## წყალსადენი ინგუშეთის სოფლებში

ინგუშეთის რამოდენიმე სოფელში, რომლებიც გაშენებულია უწყლო მიდამოში, დამთავრებულ იქნა მუშაობა წყალსადენის გაყვანის საქმეში.

წყალსადენის საერთო სიგრძე უდრის 14 ვერსს.

# საქართველოში.

## სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

მიმდინარე წელში მთელ ოზურგეთის მაზრაში შეკრებილ უნდა იქნას სასოფლო—სამეურნეო გადასახადი—36.286 მანეთი და 79 კაპ; გასულ წელში კი შეკრიბა 51.967 მან. და 33 კაპ.

## სამეურნეო გადასახადის შეკრება სამხრეთ—ოსეთში.

სამხრეთ—ოსეთში სასოფლო—სამეურნეო—გადასახადის აკრება წარმატებით მიდის. 5 ოქტომბრამდი აკრებილ იქნა 3.200 მანეთი. გლეხობას დიდის ხალისით მოაქვს გადასახადი.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა დაუბრუნა გადამხდელ—გლეხობას მათგან 1924 წ. აღებული საურავი, სულ 2.128 მანეთი.

# სამხედრო საქმე

## ძიება არმიის „თვალი და ყური“

### ქვეითა მძიებელი ჯგუფის ამოცანები.

ქვეითა ძიების მნიშვნელობა დიდია და ამოცანები, რომლებიც დასახული აქვს მძიებლებს და რომლებიც აუცილებლად უნდა შეასრულონ, მეტად დიდი და მნიშვნელოვანია.

ყოველ მეთაურს (დაწყებული ასეულის უფროსიდან და ზევით) თავისი გადაწყვეტილება ბრძოლის წინ გამოაქვს იმ ცნობების მიხედვით, რომელსაც ის ღებულობს თავისი მძიებელ ჯგუფიდან, და ამიტომ თუ რომ სწორი ცნობები ვერ მიიღო მტრისა ან ადგილ-მდებარეობის შესახებ, რომელზედაც მოუხდება მოქმედება ამა თუ იმ მეთაურს, აუცილებლად მიიყვანს ჯარის ამა თუ იმ ნაწილს დამარცხებამდი.

მძიებელმა ანგარიში უნდა გაუწიოს ძიების მნიშვნელობას და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას თავის ჯარების წინაშე და უნდა იცოდეს როგორც არ უნდა იქნას საფრთხე ... შესრულებული ... რო წაბლებით და ვადაზე აასრულოს მასზე დაკისრებული ამოცანა.

ხოლო მძიებლის ამოცანები საკმაოდ სერიოზულია და მოითხოვენ ძალისა და ენერგიის განსაკუთრებულ დაჭიმვას. მძიებელს მინდობილ ექნება შეჰკრიბოს ცნობები მტრის შესახებ, რაიც გამოიხატება შემდეგში: სად იმყოფება მტერი, რას აკეთებს, რა ძალები ჰყავს (რა გვარის ჯარები და რა შემადგენლობით), სად იმყოფება მტრის ფრთები (თუ რომ მტერს პოზიცია უკავია) ან და რომელ გზებით და საით მიდის, რა მოქმედება აქვს განზრახული, რამდენად დიდია მისი მძიეელი ჯგუფები და რამდენად გაიჭრიახოცასა და მოქმედების უნარს იჩენს ის.

შემდეგ მძიებლის ამოცანაში შედის შესწავლა და გამორკვევა ადგილმდებარეობის, რომელზედაც უნდა მოხდეს საბრძოლო მოქმედება და გზების, რომლებითაც უნდა იაროს ჩვენმა ჯარებმა. აქ აღნიშნულ უნდა იქნას არსებული გზები, მათი სიფართე, სიმაგრე, მტერთან მისავალი, გზის ვარგისიანობა, მოხერხებული პოზიციები მსროლელთათვის და სათვალთვალო წერტები. და ბოლოს მძიებლის მესამე ამოცანაა შეჰკრიბოს ცნობები ამა თუ იმ რაიონის მცხოვრებთა პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

ყველა ამ ზემოჩამოთვლილ ცნობების მიღება მძიებელს შეუძლია სამი გზით, რომელთაგან პირველია: მძიებელი მუდმივ შეხებაში უნდა იყოს მტერთან ბრძოლის ან ფარული თვალთვალის საშუალებით; მეორე—უნდა აწარმოოს ტყვეების დაკითხვა და მესამე-ადგილობრივ მცხოვრებთა დაკითხვა.

ყველა ამ ამოცანების ასასრულებლად უფრო საიმედო და სწორი საშუალებაა პირველი, ე. ი. მძიებლის მუდმივი შეხება მტერთან ბრძოლის ან მუდმივი თვალთვალის გზით, ვინაიდან ეს საშუალება უფრო საიმედოა, იმიტომ, რომ მძიებელი თვითონ ხედავს ყველაფერს და არა სხვისგან ღებულობს ამ ცნობებს. ორი უკანასკნელი საშუალება პირველ საშვალების დამხმარეს წარმოადგენს და ყოველთვის მოითხოვს მძიებლისაგან მიღებულ ცნობების სატიკ შემოწმებას პირადი ნახვისა და თვალთვალის გზით.

ამიტომ მძიებელი ყოველთვის უნდა სარგებლობდეს პირველი საშუალებით და ორი უკანასკნელი უნდა გამოიყენოს როგორც დამხმარე საშუალება.

მძიებელზე მინდობილ, აქ მოყვანილ ამოცანებიდან სჩანს, რომ მისი ვალდებულებანი მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლოა და ამიტომაც დროა დავიწყოთ ბრძოლა საერთოდ ძიების და კერძოდ ქვეითი ძიების მნიშვნელობის დაუფასებლობის წინააღმდეგ. ამ მხრივ ჩვენ საგრძნობი ხაკლი გვაქვს.

საკითხმა, საუკეთესო ქვეით. მძიებლის შესახებ, გამოძახილი უნდა ჰპოვოს ჩვენს არმიაში.

ი. ბარ.

## რა არის გლეხკომი, რა წესით ეწყობა, რას აკეთებს და ვის ეხმარება.

(საუბარი წითელ-არმიელთან).

### 1. რა არის გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოება და გლეხკომი.

ამხანაგო წითელ არმიელო! საქართველოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ ორ ნახევარი წლის წინად საქართველოს მიწა-წყალზე მოაწყო გლეხკომები. (ურთიერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოებები). დღევანდლამდე, სამწუხაროდ, ჩვენში ბევრს კიდევ არა აქვს კარგათ შეგნებული გლეხკომების მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ მათ შესახებ ბევრრამ ითქვა და დაიწერა. გლეხკომები ისახავენ მიზნათ სოფლის მშრომელების დარაზმვას ერთ ორგანიზაციაში, იმ მიზნით, რომ გაჭირვების და უბედურების დროს მშრომელებმა ერთი-მეორეს დახმარების ხელი იოლად გაუწოდონ და ერთი მეორე ფეხზე დააყენონ. დროა სოფლის მშრომელებმა შეიგნონ და ერთხელ და სამუდამოთ ისწავლონ ერთი-მეორეს დახმარება შეერთებული და შეკავშირებული ძალებით (ორგანიზაციულად). სოფლის გლეხკაცობა ორგანიზაციულად უსათუოდ უნდა გაერთიანდეს გლეხკომებში, რომ იოლად შესძლონ სოფლად მივლინებული ყოველგვარი გაჭირვების და უბედურობის წინააღმდეგ გამკლავება.

### 2. როგორ უნდა მოეწყოს გლეხკომები სოფლად.

ერთი წელია, რაც საქ. ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა დებულება (დებულება მიღებულია და დამტკიცებული 1925 წლის 20 იანვარში) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს სოფლად ურთიერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოებები (გლეხკომები). სოფლად უნდა მოეწყოს მოსახლეობის საერთო კრება, სადაც გაკეთებული უნდა იქნეს გლეხკომის შესახებ მოხსენება. აქ ნათლად უნდა გაირკვეს რისთვის ეწყობა და რა მიზნებს ისახავს გლეხკომი. აუცილებლად საჭიროა მოხსენების შემდეგ გლეხკომის დაარსების შესახებ, გლეხებს საშუალება მიეცეს გულახდილათ და დაუფარავათ გამოსთქვან თავისი აზრი და მონაწილეობა მიიღონ გლეხკომების საარჩევნო კენჭის ყრაში. არჩევნების დროს თუ კრების უმრავლესობა ხმებს მისცემენ, რომ გლეხკომი დაარსდეს, მაშინ გლეხკომის დაარსება სოფლად სავალდებულოა.

ავიღოთ მეორე შემთხვევა, კრების უმცირესობამ სურვილი გამოსთქვა, რომ გლეხკომის მოწყობა საჭიროა, მაგრამ უმრავლესობა ამის წინააღმდეგ წავიდა. ასეთ შემთხვევაში დაუშვებელი და მიუღებელია ზევიდან და ძალადობით სოფელში გლეხკომი იქნეს დაარსებული. ურთი-ერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოება შეიძლება ამა თუ იმ სოფელში მოეწყოს მხოლოთ მოსახლეობის უმრავლესობის ნებაყოფლობით. დაიმახსოვრეთ: გლეხკომი არის საზოგადო ხასიათის ორგანიზაცია, ის გლეხური მასის ნებასურვილის თავისუფალი გამომხატველი დაწესებულებაა.

### 3. ვინ უნდა იქნეს არჩეული გლეხკომში და სარევიზიო კომისიაში.

როცა სოფლის გლეხკაცობის საერთო კრებაზე დამსწრეების უმრავლესობა გადაწყვეტილებას მიიღებს გლეხკომის დაარსების შესახებ, მაშინათვე უნდა მოხდეს არჩევნები ურთი-ერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოების (გლეხკომის) გამგეობის მიმდინარე საქმეების და მუშაობის სახელმძღვანელოთ. რამდენი კაცი და როგორი პიროვნებები უნდა იქნენ არჩეული გამგეობაში? გლეხკომის გამგეობაში უნდა იქნენ არჩეული თერთმეტიდან—ცამეტი კაცი, რომლის შემადგენლობიდან გამოიყოფა პრეზიდიუმი ხუთი პირისაგან შემდგარი. გამგეობამ გლეხკომების საქმეების სახელმძღვანელო სხდომები უნდა გამართოს ორ—ან, უკიდურეს შემთხვევაში, თვეში ერთხელ მაინც, მხოლოთ პრეზიდიუმი მიმდინარე მუშაობის სახელმძღვანელოთ უნდა შეიკრიბოს კვირაში ერთხელ. გამგეობა თავის სხდომებზე ეხება და სჭრის დიდ საკითხებს, რომელიც გამომდინარეობს და დაკავშირებულია ურთი-ერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოების მუშაობასთან. პრეზიდიუმმა სისრულეში უნდა მოიყვანოს გამგეობის ყველა დადგენილებები, უნდა აწარმოვოს მიმდინარე მუშაობა და ზოგიერთ შემთხვევებში უნდა გადასჭრას ისეთი წვრიმალი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან გლეხკომის ნაყოფიერი და წარმატებითი მუშაობის საქმესთან. არც ერთი საკითხი არ უნდა გადაწყდეს უგამგეობოთ და უპრეზიდიუმოთ. ჩვენ ვიცით, რომ ბევრ გლეხკომებში საკითხებს სჭრის ერთი პირი სხვა წევრების დაუკითხავათ. ასე აქა იქ, უმეტეს შემთხვევებში იქცევიან გლეხკომის თავმჯდომარეები. გლეხკომებში საკითხის ერთი პირის მიერ გადაწყვეტას და გადაჭრას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს.

გამგეობაში (გლეხკომებში) წევრებათ უნდა იქნენ არჩეული ისეთი პირები, რომელთაც სოფლად მოსახლეობა პატივით უყურებს და პატიოსან ადამიანათ ყავთ მიჩნეული. გლეხკომების და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნების დროს, დიდი დაკვირვების და სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო.

გლეხკომების გამგეობებში და სარევიზიო კომისიებში წევრებად აუცილებლად უნდა იყვნენ შეყვანილი ქალები და სოფლად მომუშავე ინტელიგენტები (მასწავლებლები, აგრონომები და სხვები.) საკუთარმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ იმ გლეხკომის გამგეობებში და სარევიზიო კომისიებში, სადაც ქალები და სოფლის ინტელიგენტები მუშაობენ, საქმე კარგათ არის დაყენებული.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

კ. ხომერიკი.

# ახალ წვეულის მოსვლის წინ.

## სალამი, ყაზარმაში მომავალ ამხანაგებს.

1-ლი ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონი მოუთმენლად ელის სიცოცხლით სავსე ახალ ცვლას, რომლებიც კვლავ გამოაცოცხლებენ ჩვენს ყაზარმებს. ძველ წითელ არმიელებს იმედი გვაქვს, რომ ახლად მოსულ ამხანაგებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული განვაგრძობთ მთელი ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოდ დაწყებულ მუშაობას მთელი ჩვენი ენერგიით და ახალგაზრდული გატაცებით.

ჩვენ გვახარებს ის გარემოება, რომ ეს ამხანაგები ასე ერთსულოვნად, სიხარულით და ყიჟინით მოემართებიან წითელი ყაზარმისაკენ ჩვენს გვერდით ამოსადგომად. სხვა და სხვა პუნქტებზე ასეთი მასიური გამოცხადება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ წითელმა ყაზარმამ შეასრულა თავისი უდიდესი საქმე, ის გადაიქცა საუკეთესო სკოლად, სადაც სოფლის ახალგაზრდობა იძენს ცოდნას და მიდის თავისი ინტერესების შეგნებამდე. ამ მიზნით ნასიამოვნები ძველი წითელ არმიელები ვესალმებით მომავალ ამხანაგებს და ვუსურვებთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მიერ გადაცემული წითელი დროშა ყოველთვის მაღლა სჭეროდეთ.

1-ლი ლეგ. სამხკორი
მ. ოდიშარია.

## ვინახულეთ წითელ არმიელები.

13 ოქტომბერს გრძელ ვადიან შვებულებაში წასული ორი ამხანაგი შევხვდით ერთმანეთს და გადავწყვიტეთ წავსულიყავით ჩვენს ყოფილ ნაწილ პირველ ლეგიონის სამნეო გუნდში და გვენახა ჩვენი ყოფილი უფროსები და ამხანაგები. ძლიერ გვაინტერესებოდა იმ ნაწილის ისევ ნახვა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩვენს გათვითცნობიერებაში.

არა ნაკლები სიხარული გამოიწვია ამხანაგობაში ჩვენმა იქ მისვლამ. გუნდის მეთაური ჯორჯაძე დიდი პატივით შემოგვეგება, მოგვიყვანა გვერდში და დაგვიწყო გამოკითხვა, თუ ნაწილიდან წასვლის შემდეგ რა ვაკეთეთ სოფლად და რას ვაქცევდით ყურადღებას. ჩვენ ყველაფერს გულახდილად ვეუბნებოდით. აქვე იდგნენ ნაწილის არმიელები და გვიგდებდნენ ყურს. ამხანაგი ჯორჯაძე გულმოდგინეთ გვისმენდა და ბოლოს ზოგიერთ შენიშვნებიც მოგვცა ჩვენ მიერ ჩატარებულ მუშაობაში. არმიელებიც გვაძლევდნენ სხვა და სხვა შეკითხვებს და უმთავრესად აინტერესებდათ თუ როგორ შეხვდნენ გლეხები ჩვენს მოქმედებას სოფლად.

საუზმის შემდეგ მიგვიწვიეს სადილზე.

ნაწილში მისვლამ ბევრი რამ შეგვძინა. პირველად ყოვლისა, ვისწავლეთ ის დავალებები, რომლებიც ნაწილმა მოგვცა შვებულებაში წასვლის დროს და მეორე კი ნაწილთან დაკავშირება, რომელიც სოფლად წარმოებულ მუშაობის დროს გართულებაში, საუკეთესო მასწავლებელი და გზის მაჩვენებელი იქნება ამის შემდეგ ჩვენთვის.

გაუმარჯოს ყაზარმასა და სოფლად მომუშავე ყოფილ არმიელთა მჭიდრო კავშირს.

ყოფ. არმიელი ალ. შველიძე.

## თბილისიდან თელავამდე.

6-სე ლეგ. 3-მე ათასეული.

შვიდ ოქტომბერს, ღამის ორ საათზედ, მე-6 ლეგიონის მესამე ათასეულის ტერ არმიელები გამოემშვიდობნენ საზაფხულოდ მოწყობილ ბანაკის კარვებს და გაემგზავრნენ თავთავიანთ ოჯახებში. ლეგიონის თავმა და სამხკომმა ისინი მიაცილეს სადგურ ნავთლუღამდე სამხედრო ორკესტრით და იქ საბოლოოდ გამოემშვიდობნენ თავის არმიელებს, რომლებიც გაემგზავრნენ მატარებლით.

მიმავალ არმიელებთან ერთად მიემგზავრებოდა აგრეთვე მესამე ათასეულის უფროსი შემადგენლობა.

გზაში მყუდროებას არღვევდა წითელ არმიელების სიმღერა და შეუწყვეტელი მხიარულება.

სადგურებში გვხვდებოდნენ ცვალებადელების მოკეთეები, რომელნიც აღფრთოვანებით ეგებებოდნენ თავიანთ შვილებს. მუსიკა ასრულებდა სხვა და სხვა მგზავრულებს.

ხალხი უზომოდ იკრიბებოდა, მუსიკის ხმაზედ, განსაკუთრებით იქ, სადაც მატარებელი უფრო დიდხანს ჩერდებოდა.

იმართებოდა თამაში და სიმღერა.

ასეთი ხალისით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს ამხანაგები და რჩებოდნენ თავიანთ სადგურებზედ.

უკანასკნელი გამომშვიდობება მოხდა თელავის სადგურზედ.

ამის შემდეგ ათასეულის უფროსი შემადგენლობა დარჩენ ობლათ, რომლებიც შეუდგნენ მომავალ მუშაობის სამზადისს.

დ.

## 1903 წელში დაბადებულებს.

მოდით ძმებო, შეისწავლეთ,
ბრძოლის ხერხი, ბრძოლის მხარე;
მტრებს, ორგულებს მუსრი ავლეთ
მშრომელთათვის სისხლი ღვარეთ!...

მტკიცეთ, მედგრათ გადავლახოთ
კაპიტალის ზღუდე შავი;
მტრებს მხნე რწმენა დავანახოთ,
მოძმეებს—ყოფნა მომხიბლავი.

გულში სანთლად ჩავისვენოთ
კომუნიზმის დროშა წრფელი,
სულ მდაბალნი შევაჩვენოთ
ძმურად მივსცეთ მუშებს ხელი...

წით. არმ. შუტუ.

## 2-რე ლეგ. საკავშირო კომისიის მუშაობა.

3 სექტემბერს ლეგიონის საერთო კრებაზე არჩეულმა საკავშირო კომისიამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი იმ საქმის შესრულებას, რაც მათ დაავალა საერთო კრების შემადგენლობამ.

კომისიამ უკვე გააბა კავშირი თუჯის ქარხნის მუშებთან; კავშირი გამოიხატებოდა წ. მოლაშქრეების ქარხანაში წასვლით და მისი დათვალიერებით.

1-ლ ოქტომბერს საკავშირო კომისიამ მოაწყო დაახლოება ნევთიაკომის მუშებთან. გაიმართა წარმოდგენა, დაიდგა პიესა „იასონის ოინები" და ერთ მოქმედებიანი „ჩანჩურა". მომქმედი პირები ყველა თავის სიმაღლეზე იდგა და მოხდენილად ასრულებდნენ თავთავიანთ როლებს.

ამნაირად საკავშირო კომისიამ ამ მოკლე ხანში შესძლო ორი დარგის მუშებისა და წ. მოლაშქრეების შორის გაება მჭიდრო კავშირი. ორთავე ქარხნის მუშები ესწრებიან ჩვენს წარმოდგენებს ლეგიონშიაც.

მ. ხევდიშვილი.

## წითელ არმიელების წერილებს ყურადღება ექცევა.

ქართულ დივიზიების სამხედრო ტრიბუნალის პროკურორი გვატყობინებს, რომ ჩვენს გაზეთ „წითელ არმიელის" სხვა და სხვა ნომრებში ჩვენი სამხკორების მიერ მოთავსებულ შენიშვნებსა და წერილების შესახებ: „წერილი რედაქციის მიმართ", „თუ ვინმემ იცის"; „საჭიროა პასუხი მოეთხოვოს" და „სანიტარიც ასეთი უნდა" მის მიერ სათანადო ნაწილების უფროსებს მოეთხოვა საჭირო პასუხი.

## კითხვა-პასუხის რვეული.

ლენინის კუთხეებში შემოღებული გვაქვს ეგრედ-წოდებული კითხვა პასუხის რვეული. წითელი არმიელი, რომელსაც აინტერესებს ესა თუ ის კითხვა, სწერს შიგ, და პოლიტხელი ან სხვა მომუშავე ამავე რვეულის საშვალებით, აძლევს პასუხს. წითელ არმიელს, რომელიც მოსულა თავის სოფელს, ან ქარხანას და უხდება ცხოვრება ახალ, ჯერ უცნობ პირობებში, ბევრი საკითხები აქვს. თუ კარგად არის დაყენებული ლენინის კუთხეში ამ რვეულების მოხმარების საქმე, მაშინ იგი დიდ სამსახურს გაუწევს ასეულში მომუშავე ამხანაგებს, რვეული გადაიქცევა ასეულის სარკედ. რვეული მოიპოვებს წითელ არმიელთა ნდობას მაშინ, როდესაც კითხვას მოვეპყრობით სერიოზულად, როცა არ მოვთხოვთ წითელ არმიელს, რომ უეჭველად მოაწეროს საკითხის ქვეშ გვარი და როცა საკითხზე პასუხის გაცემაში მონაწილეობას მიიღებენ ასეულში მომუშავე ყველა ამხანაგები.

თუ გადავხედავთ ჩვენ ნაწილებში არსებულ კითხვა-პასუხის რვეულებს, ნათლად დავინახავთ, რომ წითელ არმიელები ბევრი რამით არიან დაინტერესებული, ბევრი რთული საკითხი აწუხებთ მათ, და ეს გარემოება გვავალებს, რომ ყურადღებით მოვეპყრათ ამ კითხვებს. დაუდევრობა ამ შემთხვევაში დაუშვებელია. დაუდევრობით, დროზე საკითხზე პასუხის გაუცემლობით ჩვენ გულს გაუტეხთ წითელ არმიელს და ის აღარ მოგვმართავს არავითარი შეკითხვებით.

კითხვა-პასუხის რვეული რომ იდგეს თავის სიმაღლეზე ამისთვის საჭიროა, ყოველ კითხვას მოვეპყრათ სერიოზულად, დროზე გავცეთ შესაფერისი და ამომწურავი პასუხი, ჩათრეულ იქნას ამ საქმეში უფროსი შემადგენლობა, რომ მათ გამოიყენონ რვეულის მასალა ნაწილის პოლიტიკურ და მორალურ მდგომარეობის გასაცნობად.

ე. ხუციშვილი

## მოაწყვეთ ლენინის კუთხე.

1-ლი არტლეგ. 3-მე ბატარეა.

კარგა ხანია ჩვენს ბატარეაში ლენინის კუთხე ვერ იდგა თავის სიმაღლეზე. უმთავრესად ის ცუდად იყო მოწყობილი. ამაში ხელს გვიშლიდა უმთავრესად ბატარეის ბინის შეუკეთებლად წარმოებული მუშაობა.

ამ ჟამად საქმე მოგვარდა. შენობა შეკეთებული იქნა და მთელი ენერგიით შევუდექით ლენინის კუთხის გამშვენიერებას. მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ბატარეის მეთაურებმაც, განსაკუთრებით ძლიერ გვეხმარებოდნენ ახლად მოსული მწყობრის თავები. ეხლა კუთხე სავსებით აკმაყოფილებს წითელ არმიელთა მოთხოვნილებას გარეგნული მოწყობით, ლიტერატურის და ჟურნალ-გაზეთების სიუხვით.

კუთხე მორთულია რევოლიუციის ბელადების სურათებით.

მეთაურები ხშირად აწარმოებენ საუბრებს ლენინის კუთხეში. უმთავრესად ამზადებენ არმიელებს ახალწვეულების შესახვედრად.

სამხკორი ძირულელი.

## დიდ სივიწროვეში ვიმყოფებით.

1-ლი არტლეგიონი.

არტლეგიონი ამ უკანასკნელი ხანებში დაბინავდა საზამთრო შენობაში. შეუდექით მუშაობას. გაჩაღდა ლენინის კუთხეები, მოეწყო კლუბი და ამუშავდნენ წრეები. სწარმოებს სამხედრო სპეციალური მეცადინეობაც, მაგრამ ყაზარმის შენობა და ეზო იმდენად პატარაა, რომ ძლივს ვეტევით. განსაკუთრებით ძლიერ სჭირს ეზოში ქვემეხების მოძრაობა. ყაზარმაზე არც მოვლებული კედელი კიდევ უფრო გვიშლის ხელს ამ ვიწროობის დროს.

ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ქვემეხის ხორთუმებს ძლივს გადაურჩენია [illegible] არმიელები გაუჭყავი. საინტერესოა თუ რად არ იფიქრა კომენდანტმა, რომ ბატარეას გაუჭირდებოდა ასეთი ყაზარმებში და სივიწროვეში ცხოვრება. ასეთ ბინაში ყოვლად შეუძლებელია სერიოზული საქმიანობა აწარმოოს ჩვენმა ნაწილმა, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

წ. არ. გრ. ბარათაშვილი.

## წითელ არმიელების წერილებიდან.

### წესრიგს ვერ იცავენ.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონის მთელი შემადგენლობისათვის ერთ ქვაბში მზადდება სადილი, საიდანაც თითეული ბატარეისათვის ცალ-ცალკე დებულობენ საერთო ქვაბიდან მორიგეები და შემდეგ ანაწილებენ, რომლის დროსაც ერთ დანაშაულს აქვს ადგილი: მზარეულები სადილს იტოვებენ და შემდეგ ურიგებენ ვინც მათ სურთ და ვისგანაც ისინი რაიმეს გამოელიან. ეს გარემოება კი არმიელების საერთო ჯამს საგრძნობლად აკცირებს და დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ისინი ყოველ დღე უსაყვედურებენ მზარეულებს, მაგრამ მათ გამოსწორებას მაინც არაფერი ეშველა. დროა ყურადღება მიექცეს მათ ასეთ საქციელს.

წ. არმ. ლეო—ბაჩბელი.

### რად უშვებენ ლეგიონში?

1-ლი საარტილერიო ლეგ.

ჩვენს ლეგიონში ძალიან ხშირად შეხვდებით ვიღაც ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც რაღაც საეჭვო შეხედულების არიან. ჩვენი წითელარმიელები ხშირად დასეირნობენ მათთან. როგორც პატიოსანი პირები გადმოგვცემენ, ეს ქალები დაავადმყოფებულებიც კი ყოფილან ვენერიულად, რაც თუ თავის დროზე არ აიკრძალათ მათ ლეგიონში სიარული ცუდი მოვლენის წინაშე დაგვაყენებს. საჭიროა კომენდანტი შესაფერ ზომებს ღებულობდეს მათ წინააღმდეგ.

სამხკორი რიონისპირელი.

### „მშრომელი ბიბგამგე".

1-ლი მესანგრეთა ასეული.

ჩვენი ბიბგამგე ძლიერ გვაყვედრის—ბევრს ვშრომობო. არ ვიცი კი რას უძახის შრომას. ალბად იმას, რომ სადღაც დარბის სულ ერთთავად და ბიბლიოთეკაში კი არ იყოფება, საჭიროების დროს ვერ ვნახულობთ.

იქვე გვერდით ასეულის სამზარეულოში მუშაობენ არმიელები, რომლებიც ვერ იცლიან საკითხველოში მისვლას. ერთხელ სთხოვეს მას რამოდენიმე ცნობით ეთხოვებინა მათთვის გაზეთი „წითელი არმიელი" და შემდეგ ისევ თავის ხელით აუტანდენ, მაგრამ ბიბგამგე გაბრაზდა, როდესაც გაზეთის მიტანა ოდნავ დაუგვიანდათ. (ალბად სადღაც ეჩქარებოდა „სამუშაოზე"). კარგი იქნება ბიბგამგე როგორც საჭიროა ისე მოიქცეოდეს და პირიქით წააქეზებდეს არმიელებს გაზეთების კითხვაში და არა არ აძლევდეს მათ ამის საშვალებას.

წ. არმ. სურელი.

# სამხედროთა შენიშვნებიდან

## კარგი მასწავლებელი.

მე-3 ლეგიონი.

მესამე ლეგიონის საყარაულო ჯგუფს ყავდა მასწავლებლად ამხ. ესტ. კალაძე, რომელმაც ბევრი რამ შესძინა არმიელებს. თავისი მოვალეობის გარდა, ის სხვა მრავალ საყურადღებო საკითხებზედაც ხშირად ესაუბრებოდა არმიელებს და დროს არ ზოგავდა ამისთვის. არმიელები დიდ მადლობას უძღვნიან მას და უსურვებენ კიდევ მეტი გაეკეთებიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

სანიტარი ლანჩავა.

## სამართლიანობაა?

1-ლი ლეგიონის ბანაკად ყოფნის დროს ერთ დღეს სამზარეულოს მორიგეთ იყო წ. არმ. მ. კირკიტაძე. სამზარეულო საჭირო წყალს ღებულობდა ბანაკში გამოყვანილი მილებიდან. მორიგე კირკიტაძეს დასჭირდა წყალი სამზარეულოსათვის, რისთვისაც მან ცოტა ხნით გადაკეტა ლეგსკოლისაკენ გაყვანილი მილი, რადგან თუ ის ღია იქნებოდა მაშინ სამზარეულოს მილებში აღარ გადიოდა წყალი. ხსენებულ მილის გადაკეტვა კი კირკიტაძეს არ ღირსებს სკოლის მწყობრის თავმა დოლაბერიძემ. წ. არმიელს ხმა არ შეუბრუნებია მისთვის, მხოლოდ დასწერა პატაკი და გადასცა ლეგ. მორიგეს. სამზარეულოსათვის საჭირო წყალი კი არმიელმა სამნეო გუნდიდან ნათხოვარი ცხენით მოიტანა. ამის შემდეგ ხსენებული არმიელი გაგზავნილი იქნა სამი თვით ერთ ექსპედიციაში. ლეგიონში მოსვლისას კი დაპატიმრებული იქნა 5 დღით ლეგთავის მიერ. დაპატიმრების მიზეზი კი, როგორც გამოირკვა ყოფილა მწყობრის თავის დოლაბერიძის პატაკი. სად წავიდა წ. არმიელის პატაკი? ის სრულიად უდანაშაულო იყო. მოველით საჭირო კვლევა-ძიებას და სიმართლის გამორკვევას. უდანაშაულოდ რად უნდა იქნეს ვინმე დასჯილი?

კ—ძე.

## სამაგალითო მეთაურები.

მე-3 ლეგ. სამნეო გუნდი.

ჩვენი გუნდის მეთაურები ძლიერ გულმოდგინეთ ეკიდებიან წითელარმიელთა განვითარების საქმეს. დაწყებული გუნდის უფროსიდან, გათავებული პოლიტხელით და სხვა მეთაურებით, ყველა გუნდში იმყოფებიან და თავისუფალ საათებში სისტემატიურად აწარმოებენ არმიელებთან საუბრებს. ასეთ ყურადღებას არმიელებიც კარგად გრძნობენ და სიამოვნებით იყრიან მათთან თავს.

სანიტარი ფიცხელაური.

# სასოფლო მეურნეობა.

## რა სახით უნდა მიეცეს სიმინდი საქონელს.

სიმინდის მარცვალი მეტად კარგი საკვებია საქონლისათვის: მისგან მეწველ საქონელს რძე ემატება, ვასისუქებელი საქონელი ადვილად სუქდება და მუშა საქონელს ჯან—ღონე ემატება.

ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ადგილას, იქ, სადაც ბევრი სიმინდი მოდის, უკვე შემოღებულია საქონლის საკვებად სიმინდის ხმარება. ზოგი მას მთლიანი მარცვლის სახით აძლევს საქონელს, ზოგიც დაღერღილს, დაროშვილს, ან დაღბობილს.

საერთოდ დაღერღილი სიმინდი უფრო მარგებელია, რადგან საქონელი მას უფრო ადვილად ინელებს. მაგრამ ზოგჯერ დაღერღვა შრომად არც კი ღირს, რადგან ზოგი საქონელი ისედაც კარგად ინელებს მას. ასე, მაგალითად:

ცხვრებისათვის სიმინდის დაღერღვა ზედმეტია.

ღორებისა და სახარცე საქონლისათვის კი, პირიქით, დაღერღვას დიდი სარგებლობა მოაქვს.

ცხენებისა და მეწველი საქონლისათვისაც კარგია დაღერღვა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათგან დიდ შრომას, ან ბევრ რძეს მოითხოვენ. უკანასკნელ შემთხვევაში არა მხოლოდ სიმინდის, არამედ ყოველგვარი მარცლოვანი საკვების დაღერღვა სასარგებლოა.

გამხდარ ძროხას და უმუშევარ ცხენს და ხარებს სიმინდი შეიძლება მთლიანი მარცვლის სახით მიეცეს.

ხშირად თვით საქონლის განავალი უჩვენებს, საჭიროა თუ არა დაღერღვა.

თუ განავალში სიმინდის მთელი მარცვლები მიყვება, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ საქონელი სიმინდს კარგად ვერ ინელებს და უმჯობესია მას დაღერღილი სიმინდი ვაძლიოთ.

სიმინდის მარცვლის დალბობა და მოხარშვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ იგი ძალიან მაგარია და საქონელს მისი ღეჭვა უჭირს.

გ. ა—ძე.

# ჩვენი ხელისუფლების მოღვაწეობა.

— აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, რომელიც ეკუთვნის ცეკავშირს გადაეცემა უ. ს. საბჭოს 5 წლის ვადით. ცეკავშირს უნდა გადასცეს უმ. სამ. საბჭომ ქარხნის საფასურათ 115. 187 მანეთი.

— აღნიშნული ქარხნის მოქმედების გასაფართოებლათ გადაწყვეტილია გამოთხოვილ იქნეს სამრეწველო ბანკიდან გრძელვადიანი სესხი 80 ათასი მანეთის რაოდენობით.

— საქართველოს ცაკმა დაამტკიცა სოფლათ მომუშავე მასწავლებელთა და განათლების მუშაკთა პენსიონერების სია.

— მათხოჯის სახალხო სახლის აშენების დასრულების დაჩქარების მიზნით, საქ. ცაკმა შუამდგომლობა აღძრა ა. კ. ცაკის წინაშე დახმარების გასაცემათ.

— სოფლის სახელწოდების შეცვლა. საქ. ცაკმა დაადგინა სოფ. საატეპო-ეწერს (ზუგდ. მ.) ეწ დოს ახალი-ეწერი.

— ამ.-კავკ. ცაკის საბჭოთა აღმშენებლობის კომისიაში, საქ. ცაკმა თავის წარმომად გენლებათ დანიშნა ამხ. თოდრია და მათიკაშვილი.

# ამბები სოფლებიდან.

— **ბაზრობა ზუგდიდში.** ზუგდიდის აღმასკომმა დაადგინა მომავალი წლიდან ზუგდიდში დაიწყოს საბაზრო დღეები.

— **გორის მაზრაში** დაარსდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩამტარებელი სათემო კომისიები.

— **რაჭის მაზრაში.** სტიქიურათ დაზარალებულ გლეხებისათვის დასახმარებლათ სამაზრო აღმასკომმა საკრედიტო ამხანაგობებს დაუნაწილა მთავრობის მიერ გადადებული 22. 500 მანეთი.

— **სკოლების შეერთება.** სოფ. სევა და ფარახეთის სოფლების შუამდგომლობის თანახმად, რაჭის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა მოახდინოს აღნიშნულ სოფლების სკოლების შეერთება.

— **ტყე გლეხობას.** რაჭის მაზრაში ითვლება 5 ათასი დესეტინა ტყე, რომელიც გადაეცემა გლეხობას.

— **მებამბეობა.** ყარაიაზის რაიონში წელს დათესილი იყო 1.533 დესეტინა ბამბა.

— **თხილის მოსავალი.** შორაპნის მაზრაში წელს თხილის საუკეთესო მოსავალია.

# ახალი ამბები.

— შესაკრებ პუნქტებზე. პროვინციებში არსებულ შესაკრებ პუნქტებთან მოწყობილ კინო-თეატრებში დიდი მოთხოვნილებაა სურათების. წით. ჯარის პოლიტსამმართველო ზომებს ღებულობს ახალი რევოლუციონური სურათების დასაგზავნათ.

— სხვა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან არსებულ სამხ.-სამეცნიერო წრეებში და კუთხეებში ახლო ხანში მოწყობილ იქნება ლექციამოხსენებები.

— **მევენახეობისათვის.** მიმდინარე წლის განმავლობაში მიწ.-მოქ. კომისარიატმა მაზრებში დაგზავნა 100 ათასამდე ფუთი გოგირდი.

— მეცხვარეობა ჩვენში. მიწ.-მოქ. კომისარიატის ცნობით ამჟამად მთელ საქართველოში ითვლება ერთ მილიონამდე სული ცხვარი.

— საბინაო გადასახადი. მთელ საქართველოში დღემდე საბინაო მიზნობრივი გადასახადი შეკრებილია 80 ათასი მანეთის რაოდენობით.

— ბამბის საწმენდი ქარხანა დაიწყებს მუშაობას ქუთაისში 15 ნოემბრიდან.

— მგზავრების გადაყვანა. სექტემბერში ტრამვაის გადაუყვანია 3.310.000 მგზავრი.

— **ქოხ-სამკითხველოების** გამგეთა მოსამზადებელ კურსებზე ამჟამად ირიცხება 50 კაცი. კურსებს ინახავს ტფ. აღმასკომი.

— დაბადება. სექტემბერში დამზ. სალაროს მიერ აღრიცხულია 375 დაბადების შემთხვევა დაზღვეულთა შორის.

# ახალი ტიპის გემის აგება მდინარეებზე სანაოსნოთ.

საქართველოს ავიაქიმი შეუდგა ახალ ტიპის გემის ე. წ. ჰიდრო-გლისერის აგებას ხეჩინოვის კონსტრუქციით.

გემი იქნება აგებული სამგზავროთ მდინარე რიონზე და მტკვარზე ნაოსნობისათვის. ეს პირველი გემი აგებული იქნება საცდელათ და თუ მისი არსებობა გაამართლა ჩვენი მდინარეების პირობებმა, მომავალში კვლავ ააგებენ მსგავს გემებს.

აღნიშნული გემები გამოგონილია საგულდაგულოთ დაბალ მდინარეებზე სანაოსნოთ, სადაც წყალს სწრაფი მიმდინარეობა აქვს. ასეთი მდინარეები ჩვენში მაგალ. მდ. რიონი, მტკვარი და სხვა.

ჰიდრო-გლისერი, საწყლოსნო ტრანსპორტის ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვაა და იგი, ყველა ნიშნებით შესაფერი უნდა იქნეს ჩვენი მდინარეებისათვის.

შედარებით, ამ ნიური კონსტრუქციის გემის აგება იაფი ჯდება. პირველი საცდელი გემის აგება, ხარჯთაღრიცხვით დაჯდება მხოლოდ 450 მანეთი.

დ.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**აღმოაჩინეს წითელას ბაცილა.**

ფრანგულ სამედიცინო (საექიმო) ჟურნალის ერთ უკანასკნელ ნომერში მოყვანილია ცნობა მეცნიერ კარონის წითელას საწინააღმდეგო შრატის აღმოჩენის შესახებ.

უკანასკნელ ხანებამდე წითელას ბაცილის აღმოჩენა ვერ შესძლო მეცნიერებამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ავადმყოფობა ერთი მეტად გავრცელებული ავადმყოფობაა. ძველთაც ცნობილი იყო, მაგრამ იმას გარდა, რომ წითელამ მეორედ შეყრა არ იცის—ვერაფერი გაუგეს მას. მეცნიერების აზრით ის მოვლენა, რომ წითელა მეორედ არ ხვდება ადამიანს იმის მიზეზია, რომ ადამიანის სისხლში წითელის ერთხელ გადატანის შემდეგ ჩნდება ისეთი ბაცილები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან შემდეგში წითელას ბაცილების შხამს. სცადეს შეეშხაპუნებიათ ისეთი ბავშვის სისხლში, წითელა გადანატანი ადამიანის სისხლი, რომელიც არ იყო ავად ამ სენით, მაგრამ ავადმყოფთან კი ყოველთვის ახლოს იდგა. ამ ოპერაციით ბავშვი ან სულ არ ხდებოდა წითელით ავად, ან და გამოაჩნდებოდა ავადმყოფობა მსუბუქ ფორმებში.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ ასეთი საშუალება იყო ცნობილი წითელას წინააღმდეგ.

ამ საშუალებას დროებითი ხასიათი ჰქონდა და ამას გარდა წითელა გადახატან ადამიანის სისხლი არც ისე ადვილი საშოვნელია, რადგან შეშხაპუნებისათვის საჭიროა რამოდენიმე კუბიკური სანტიმეტრი ანუ გრამი სისხლი. ამ ჟამად როგორც იტყობინებიან აღმოუჩენიათ წითელას ბაცილა და დაუმზადებიათ წითელას წინააღმდეგ ასაცრელი საშუალება.

პროფესორ კარონის სიტყვით ეს საშუალება იმდენად საიმედოა, რომ აცრის შემდეგ წითელას შეყრისაგან შეიძლება დიდი ხნით იქნე კაცი უზრუნველყოფილი. 346 ბავშვიდან, რომელთაც აუცრეს წითელას საწინააღმდეგო შრატი, მათი ავადმყოფებთან მოთავსების შემდეგ, წითელით მხოლოდ ერთი ბავშვი გახდა ავად და ისიც ძლიერ მსუბუქი ფორმით.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ამხ.** სიმართლეს (6 სე ლეგ.) და ბალის ლელელს (1-ლი ლეგ.) თქვენი კორესპონდენციები: „ასეთი მოქცევა დაუშვებელია“ და „ასეთებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს“ გამოდგება ადგილობრივი კედლის გაზეთებისთვის.

**ამხ. ამხ.** სურამულას პირველს (2-რე საარტ.) და მეფარიშვილს თქვენი კორესპონდენციები „საჭიროა თვით მუშაობა“ და „1901 წ. დაბადებულის წერილი“ არ გამოგვადგა.

ამხ. ამხ. ყრუაშვილს (2-რე საარტ.) და მსურველს (მეთაურთა სკოლა) თქვენი წერილები „2-რე საარტილერიო ლეგიონი“ და „ხშირად დავდივართ ექსკურსიაზე“ არ დაიბეჭდება. ასეთი ხასიათის წერილები იყო ჩვენს გაზეთში.


# განცხადებები

**მეთაურთა სამხედრო გაერთიანებული სკოლის საყურადღებოთ.**

სხვა და სხვა სოფლებს თქვენ მიერ გამოწერილი გაზ. „წითელ არმიელის“ გზავნა შეუწყდებათ, თუ არ შამოიტანთ საჭირო ფულს.

გაზ. „წითელ არმიელის“ რედაქ. კანტორა.

**დავკარგე** ტრანსპორტელთა კავშირიდან გაცემული საწევრო წიგნაკი გიორგი გრიგოლის ძე ბერუჩაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.


დროებითი რედაქტორი მ. სიმონგულოვი.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.